ოქტომბრის დღესასწაულამდე ერთი თვე დარჩა

სახელოვანი გამარჯვებებით შევხვდეთ დიად თარიღს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 236 (13928) | შაბათი, 7 ოქტომბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

დიდ მიზანს — დიდი ენერგია!

საბჭოთა ადამიანები დიადი დღესასწაულის მოლოდინში არიან. ზუსტად ერთი თვის შემდეგ სიხარულით ზეგეგებებით ოქტომბრის სახელოვან 50 წლისთავს. და რაც უფრო ძალუმად იგრძნობა ამ ღირსსახსოვარი მოვლენის სუნთქვა, მით უფრო იზრდება ხალხის საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა, ახალი ძალით ჩადგება სოციალისტური შეჯიბრება. ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებში ჩაუქრობლად გიზგიზებს შრომის ცეცხლი, სოფლად ბარაქიანი შემოდგომა იღერტყავს თავის ალალს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადება მიმდინარეობს ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით.

ეს ნათლად ჩანს ჩვენი რესპუბლიკის მაგალითით. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს მრეწველობამ ვადამდე გაანადგა ცხრა თვის გეგმა და ვალდებულებანი. წარმატებით ხორციელდება სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლა. ახლებურად მუშაობის პირველი შედეგები მოწმობს ეკონომიური რეფორმის უპირატესობას.

გაგვახარეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. მეჩაიეებმა 28 სექტემბრისათვის მოკრიფეს და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარეს 220 ათას ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მეჩაიეობის ყველა რაიონში შესარულა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა. „მწვანე ოქროს" დამზადება გრძელდება. ვადამდე შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის მარცვლისა და ბრეშუმის პარკის მიყიდვის გეგმები. წარმატებით სრულდება ნაკლისი ვალდებულებანი სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში.

ეარგ ხაჩუერებს უმზადებენ ოებილეს საქართველოს მეცნიერებს, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები.

საიუბილეო სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების საკითხები რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია.

ამ დღეებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების" ... ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდისა და ქალაქების თბილისისა და სოხუმის, ქობულეთისა და ყვარლის რაიონების მშრომელთა საიუბილეო ვალდებულებათა შესრულების შესახებ".

პლენუმზე აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები დიდმნიშვნელოვან სტიმულად გადაიქცა საოქტომბრო ვალდებულებათა შესრულებაში. საქართველოს მშრომელებს ახალი ენერგია შემატა და საკუთარი ძალების რწმენა განუმტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, რომელიც საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის ახალ მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს.

ახლა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მთელ პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას საფუძვლად უდევს მოსახლეობის უფართოესი წრეებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების იდეებისა და სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა. საბჭოთა ადამიანების დარაზმვა ხუთწლედის ამოცანათა განხორციელებისათვის, ჩვენი საამბოხლოს შემდგომი განმტკიცებისათვის.

თეზისებს გაეცნო ყველა კომუნისტი და მშრომელი. საწარმოებში, საზოგადოებრივ მეურნეობებში, დაწესებულებებში რეგულარულად იკითხება ლექციები და მოხსენებები თეზისების ძირითად საკითხებზე, ეწყობა თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის და თემატური საღამოები. ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის განმარტებისათვის დიდ მუშაობას ეწევიან პროპაგანდისტები და აგიტატორები. მშრომელები შეხვედრებს უწყობენ რევოლუციის ვეტერანებს, საბოქლაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილეებს. ბევრგან გაიმართა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების ფესტივალები, სხვადასხვა სახის გამოფენები, ფიჩუელტურული კოლექტივების სპარტაკიადები და სხვა ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდის საინტერესო ფორმები გამონახეს პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ, ისინი უნარიანად უჭერენ მხარს და წარმართავენ მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას.

საოქტომბრო თეზისების პროპაგანდისა და საიუბილეო ვალდებულებათა შესრულების საქმეში ნაკლოვანებებსაც აქვს ადგილი. ზოგან პროპაგანდისტებულ, ლექციურ მუშაობას აკლია სათანადო თანმიმდევრობა, გაქანება და სიღრმე. ბევრგან კი ხრულად არ იყენებენ წარმოების ეფექტურობას, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მოწინავე გამოცდილების დანერგვას. ამის გამო ყველა შრომითი კოლექტივი რიდი ასრულებს სადღესასწაულო ვალდებულებებს.

პლენუმმა მოითხოვა ადგილობრივი პარტიული კომიტეტებისაგან, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებისაგან განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ ჩამორჩენილმა კოლექტივებმა შეავსონ ხარვეზი და შეასრულონ საიუბილეო ვალდებულებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა იმსჯელა აგრეთვე ჩვენს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობისა და საშენ მასალათა წარმოების მდგომარეობისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

აღინიშნა, რომ ბოლო წლებში რესპუბლიკაში დიდად განვითარდა კაპიტალური მშენებლობა.

მაგრამ თუ საქმეს ხუთწლედში შესასრულებელ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მნიშვნელოვნად გაზრდილი მოცულობის პოზიციებიდან შევხედავთ, მაშინ მიღწეულს ვერ დავჯერდებით.

კაპიტალური მშენებლობის ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებსაც ადგილი აქვს სამშენებლო წარმოების ორგანიზაციაში. საჭირო წესრიგი არ არის სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების გამოყენების საქმეში.

არცთუ იშვიათია სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის გაუარესება. ბევრი სამშენებლო ორგანიზაცია აქამდე ურიგდება სამუშაოთა გაძვირებას, ხელფასის ფონდების გადახარჯვას. სამშენებლო ორგანიზაციებს აკლიათ მუშახელი. უწინარეს ყოვლისა სხვადასხვა სპეციალობის კვალიფიციური მუშები. ეს კი ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ ჯერ კიდევ მცირეა მშენებელ მუშათა შრომის ანაზღაურება.

კაპიტალური მშენებლობის განვითარებას სერიოზულად აფერხებენ ნაკლოვანებანი კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაში. გაუმჯობესებას მოითხოვს კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. ნაკლოვანებებია რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციების მუშაობაშიც.

ჩვენი პარტიის XXIII ყრილობამ დიდი ამოცანები დაუსახა მშენებლებს. საქმე ეხება კაპიტალურ დაბანდებათა ყველაზე ეფექტიანად გამოყენებას, უმცირესი დანახარჯებით ახალი სიმძლავრეებისა და ობიექტების დაჩქარებულ ამოქმედებას.

პლენუმმა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვა მუდმივად იზრუნონ სამშენებლო ორგანიზაციათა პარტიული კოლექტივების ბრძოლისუნარიანობისა და ავტორიტეტის ამაღლებისათვის, სისტემატური პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მათ წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრაში, გადამწყვეტ უბნებზე კომუნისტების სწორად განაწილებაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა სწორად უნდა გადაჭრან სამშენებლო ორგანიზაციების კადრებით განმტკიცების, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლის საკითხები.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა კომუნისტთა კრებებზე საფუძვლიანად განიხილონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მასალები, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი და შემდეგ ცოცხალი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობით განამტკიცონ ისინი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი დარაზმავენ რესპუბლიკის მშრომელებს ახალ მიღწევათა მოსაპოვებლად.

საურანგეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით ყველა ფრანგ კომუნისტს საფრანგეთის კომპარტიის ახალ, დიდ წარმატებას საკანტონო არჩევნებში.

არჩევნების შედეგები ცხადყოფს, რომ იზრდება საფრანგეთის კომუნისტთა ავტორიტეტი მშრომელებში, რომლებიც აქტიურად უჭერენ მხარს საფრანგეთის კომპარტიის სოციალური პროგრესისა და მშვიდობის პროგრამას, მის ბრძოლას მემარცხენე ძალების ერთობისათვის.

ვუსურვებთ მომავ საფრანგეთის კომპარტიას ახალ წარმატებებს კეთილშობილურ ბრძოლაში საფრანგეთის მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, მშვიდობისათვის, ჩვენი ხალხების მეგობრობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ვადამდე!

ბათუმი. (საკ. კორ.). საიუბილეო შრომითს ვახტზე წარმატებით შრომობენ ბათუმელი მკერავები, რომლებმაც პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა 18 დღით ადრე შეასრულეს. გამოუშვეს გეგმაზე 5,1 პროცენტით მეტი პირველი ხარისხის პროდუქცია, დაზოგეს ათასობით კვადრატული მეტრი ქსოვილი.

საიუბილეო წელთან დაკავშირებით სულ უფრო ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება. ბათუმელ მკერავებს გადაწყვეტილი აქვთ წლიური დავალება 106 პროცენტით შეასრულონ და გეგმის გადამეტებით გამოუშვან 200 ათასი მანეთის პროდუქცია. საიუბილეო შრომითს ვახტზე წარმატება მოიპოვეს ნ. იმედაძის, ც. ხოფერიას, ა. გაბადაძის, ლ. ბოლქვაძისა და სხვათა ბრიგადებმა.

გეგმაც, ხარისხიც!

თიანეთი. (საკ. კორ.). შრომაში წარმატებას აღწევს თიანეთის სატყეო მეურნეობის პარკეტის ქარხნის კოლექტივი, რომელმაც პარკეტის გამოშვების ცხრა თვის დავალება 12 სექტემბრისათვის 111,5 პროცენტით შეასრულა. გამოუშვა 29 ათასი კვადრატული მეტრი პარკეტი. სამი კვარტალის გეგმა კი 26 ათას კვადრატული მეტრი პარკეტის გამოშვებას ითვალისწინებდა. გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

ახალი საამქრო

საიუბილეო წელს კიდევ ერთი საამქრო შეემატა ხაშურის ყველ-კარაქის ქარხანას (დირექტორი რ. პაპუაშვილი). მშენებლებმა ქარხნის კოლექტივს საექსპლოატაციოდ ჩააბარეს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საკმაოდ რეალურო-მაცივარი. იგი უზრუნველყოფს საჭირო ტემპერატურას ყველის საამქროში, რომელსაც შეუძლია ერთდროულად 50 ტონა ყველი გამოუშვას. ამასთანავე შეიქმნა ყველა პირობა მაღალხარისხიანი პროდუქტების სანგრძლივად და ხარისხიანად შენახვისათვის.

ბ. ხარაძე.

ქართველ კოლმეურნეთა სტუმრები

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის არტელის წევრებს დიდი მეგობრობა აკავშირებთ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მორავიის ოლქის ნოვი იჩინის რაიონის ქალაქ ბილოვეცის სახელმწიფო მეურნეობის მშრომელებთან. ეს მეგობრობა დაიწყო სულ ცოტა ხნის წინათ — მიმდინარე წლის თებერვალში, როცა ჯაფარიძელ კოლმეურნეებთან სტუმრად ჩამოვიდნენ მათი ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები, მაგრამ ეს მეგობრობა გახდა დიდი ძალა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში ახალი წარმატებების მისაღწევად. საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის მშრომელები ჩადიან ერთმანეთთან, ეცნობიან მიღწევებს მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში.

ამ დღეებში წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა მიიღეს ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოსული ძვირფასი სტუმრები. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ქალაქ ბილოვეცის სახელმწიფო მეურნეობის დირექტორის მოადგილე ომდროვ აუშუსტი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ნოვი იჩინის რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების თანამშრომელი ვლადიმერ იავურკი, ქალაქ ბილოვეცის სახელმწიფო მეურნეობის გამგე ანტონინ პული შაკი, ნოვი იჩინის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ეკონომისტი თეოდორ მირისლავი.

ჩეხოსლოვაკიელი სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ კოლმეურნეობის საქმიანობას, ჯაფარიძელთა ცხოვრებას, ესტუმრნენ კოლმეურნეთა ოჯახებს, დაუმეგობრდნენ მათ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მჟავანაძემ მიიღო ნოვი იჩინის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა დელეგაციის წევრები და ესაუბრა მათ.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ჭანჭუაძე, საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ა. ბონაშვილი, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ყოჩიაშვილი. (საქდესი).

შესრულებულია წლიური დავალება

ამბროლაური. (საკ. კორ.). რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატის კოლექტივმა (ოფროსი ლ. გილოვანი) საერთო პროდუქციის ვადაზე ადრე წლიური დავალება 15 სექტემბრისათვის შეასრულა. გაუზარდა შრომის ნაყოფიერება, თვითღირებულება შემცირდა 3,2 პროცენტით, რის შედეგადაც 36 ათას მანეთზე მეტი დაზოგა.

საქავშირო სიგელი — მეორედ

სამტრედიის № 1 ღვინის ქარხანაში გაიმართა კრება, მიძღვნილი ქარხნის კოლექტივისათვის საკავშირო პროფსაბჭოს საპატიო სიგელი მეორედ გადაცემისადმი. საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ შ. კიკნაძემ დიდი შრომითი წარმატება მიულოცა და საკავშირო პროფსაბჭოს საპატიო სიგელი გადასცა სამტრედიის № 1 ღვინის ქარხნის კოლექტივს 1962 წლიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის შენარჩუნებისათვის. ამ დროშას ქარხნის კოლექტივი ფლობს გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, პროდუქციის მაღალი ხარისხის, თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

საპატიო სიგელი გადაეცა სამტრედიის № 1 ღვინის ქარხნის დირექტორს ნ. ეღენტს.

ქარხნის უფროსმა მეღვინემ, საქართველოს დამსახურებულმა მეღვინემ კ. მგალობლიშვილმა, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. მგალობლიშვილმა, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ლ. გვენცაძემ, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ი. შაფაქიძემ და ქარხნის დირექტორმა ნ. ეღენტმა დიდი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის და ვალდებულება აიღეს უფრო დიდი საწარმოო მაჩვენებლებით შეეგებონ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის იუბილეს. (საქდესი).

ერრეკვითი ნოგბათები

△ **საიუბილეო** წელს სასახელო მაჩვენებლებით ხვდებიან ხობელი მექანიზატორები, — აცნობა „კომუნისტს" რედაქციის „საქსოფლტექნიკის" ხობის რაიონული განყოფილების მმართველმა ვ. ლატარიამ. — მექანიზატორთა პირობა იყო 7 ნოემბრამდე შეესრულებინათ 80 ათასი პირობითი ჰექტარის მოცულობის მექანიზებული სამუშაოები. ბეჭითი მუშაობით ვალდებულება უკვე შესრულდა. ამასთან საწვავი დაზოგილია 32 ტონა. თვითეული ტექტარის დამუშავება მარშალდელთან შედარებით 5 კაციკი ნაკლები დაჯდა. სარეპონტო სახელოსნოში (უფროსი ა. ცირდავა) ნაცვლად 27.700 მანეთისა შესრულებულია 22.280 მანეთის სამუშაოები. ავტომანქანების ტექნიკურმა მომსახურებამ (უფროსი ხ. ჯობავა) წლიური გეგმა 140,1 პროცენტით ჯანაღდა, მიღებულია 16 ათასი მანეთი მოგება.

△ **მცხეთის** რაიონის მშრომელებმა ვადაზე დიდი ხნით ადრე — 1 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტებისა და მარცვლეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმები. ხორცის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 127 პროცენტით, რძისა — 104,3 პროცენტით, კვერცხისა — 117,7 პროცენტით, მატყლისა — 101 პროცენტით, ბრეშუმის პარკისა — 134 პროცენტით, მარცვლეულისა — 103 პროცენტით, აცნობეს რედაქციას საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. აბაშიაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ლაზარაძ და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. რაზმაძემ.

მშვიდობისა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ინტერესებისათვის

საბჭოთა კავშირ-იორდანიის ერთობლივი კომუნიკე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1967 წლის 2-5 ოქტომბერს სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს მეფე ჰუსეინ ბენ თალალი. საბჭოთა კავშირში ვიზიტის დროს მეფე და მისი თანმხლები დელეგაცია გაეცნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას და საბჭოთა კავშირის მიღწევებს სხვადასხვა დარგში.

საბჭოთა კავშირ-იორდანიის მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. პოლიანსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

მეფე ჰუსეინ ბენ თალალი მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა.

საბჭოთა კავშირ-იორდანიის ერთობლივ კომუნიკეში ნათქვამია, რომ საურბრებისა და მოლაპარაკების დროს, რაც გულახდილობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა განიხილეს საბჭოთა კავშირ-იორდანიის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე ერთმანეთის გაუნიარეს აზრები ძირითად საერთაშორისო პრობლემებზე, ამავე დროს მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ისრაელის აგრესიასთან და ამ აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის აღმოფხვრის გზებთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა დაწვრილებით განიხილეს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ახლანდელი დაძაბული მდგომარეობა, რაც გამოწვეულია ისრაელის იმპერიალისტურმა აგრესიამ იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და სხვა არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, და ამასთან დაკავშირებული ახლო აღმოსავლეთის რაიონში მდგომარეობის განვითარების პერსპექტივები.

იორდანიის მხარემ დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის ხალხსა და მთავრობას იმ გულწრფელი და მნიშვნელოვანი მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, რომელსაც სსრ კავშირი უწევდა და კვლავაც აქტიურად უწევს აგრესიის მსხვერპლ არაბულ სახელმწიფოებს. მან მადლი შეფასება მისცა საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ისე მის ფარგლებს გარეთ იმისათვის, რომ შეწყდეს ომი ახლო აღმოსავლეთში.

მხარეებს ერთსულოვნად მიაჩნიათ, რომ სანამ ისრაელის შეიარაღებული ძალები არაბთა ტერიტორიაზე იქნებიან, არ აღიკვეთება ახალი სამხედრო კონფლიქტის საფრთხე ახლო აღმოსავლეთში.

ამგვარ ისრაელმა დაუყოვნებლივ უნდა გაიკვლიოს თავისი ჯარები დაპყრობილი არაბული ტერიტორიებიდან იმ ხაზს იქით, რომელიც ამა წლის 5 ივნისამდე იკავა. საჭიროა აგრეთვე, რომ არაბულ სახელმწიფოებს, რომლებსაც თავს დაესხნენ, აუნაზღაურონ ისრაელის აგრესიისა და მათი ტერიტორიის ერთი ნაწილის ოკუპაციის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალი და რომ დაუყოვნებლივ შეასრულონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის რეზოლუციები. ეერუსალიმის შესახებ.

კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ ახლო აღმოსავლეთში ჩადენილი აგრესიის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა არაბული ქვეყნის ერთიანობასა და სოლიდარობას ანტიიმპერიალისტურ და ანტიკოლონიურ საფუძველზე, რაც არაბული აღმოსავლეთის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის წარმატებით ერთობლივი ბრძოლის საწინდარია.

საბჭოთა მხარემ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ერთად, კვლავაც ყოველნაირად დაუჭერს მხარს არაბულ სახელმწიფოებს თავიანთი კანონიერი უფლებებისათვის სამართლიანს ბრძოლაში, ეკონომიკის აღდგენასა და განვითარებაში, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

საბჭოთა მხარე გაგებით ეკიდება არაბულ სახელმწიფოთა ღონისძიებებს ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით მოქმედების განმტკიცების, კოორდინაციისათვის. იგი მხარს უჭერს არაბულ სახელმწიფოთა მეთაურების ხართუმის კონფერენციის ერთობლივ გადაწყვეტილებებს.

საბჭოთა კავშირმა და იორდანიამ, როგორც კომუნიკედან ჩანს, კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ერთმანეთს უახლოვდება მათი თვალსაზრისი მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე.

საბჭოთა კავშირმა და იორდანიამ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი მთელი მსოფლიოსათვის საშიში მდგომარეობის გამო, რომელიც მკვეთრად ართულებს მთელ საერთაშორისო ვითარებას ვიეტნამის ომის შემდგომი ესკალაციის შედეგად. მხარეებმა დაადასტურეს, რომ ვიეტნამელ ხალხს აქვს ხელშეუფლები უფლება თვითონ განაგებდეს საკუთარ ბედს გარედან ჩაურევლად, და მიაჩნიათ, რომ ეშვნეთის 1954 წლის შეთანხმებანი ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგების კარგი საფუძველია.

მხარეები მოითხოვენ რაც შეიძლება მალე დაადგს საერთაშორისო ხელშეკრულება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.

ორივე მხარემ განაცხადა, რომ ისწრაფვიან კვლავაც განამტკიცონ და განავითარონ საბჭოთა კავშირსა და იორდანიას შორის სასარგებლო ურთიერთობა ეკონომიურ, კულტურულ, პოლიტიკურ და სხვა დარგებში.

მეფე ჰუსეინ ბენ თალალის მოსკოვში ვიზიტის დროს ხელმოწერილია შეთანხმება საბჭოთა კავშირისა და იორდანიის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ.

იორდანიის მეფემ იორდანიისა და მისი ხალხის სახელით გულთბილად მიულოცა საბჭოთა კავშირის ხალხსა და მთავრობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი და აუფლება და ახალი წარმატებანი უსურვა საბჭოთა კავშირს.

იორდანიის მხარემ მადლობა უძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას გულთბილი მიღებისა და ყურადღებისათვის, და აღნიშნა, რომ ეს გამოხატავს საბჭოთა ხალხის მეგობრულ გრძნობებს იორდანიის ხალხისადმი.

კომუნიკეს დასასრულს ნათქვამია, რომ მეფე ჰუსეინ ბენ თალალმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი მიიწვია იორდანიაში, რასაც იგი მადლობით დათანხმდა. ვიზიტის დრო შეთანხმებული იქნება დიპლომატიური არხებით. (საკდესი).

საიუბილეო რითველი

ნაფარეულის ზვრებში

წინა საღამოს შვიდფური ციალარტყელა გადატეხა ბახტრიონიდან კუდიგორამდე. შვებით ამოისუნთქეს ნაფარეულში, — ახლა ბინც ჩოგაცემს საშველს, რთველს ბარაქას დაგდებთო.

ნაფარეულის მეგენსახეობის სპბ-თოთა მეურნეობაში რთველის შესახებ მსჯელობდნენ.

ტელეფონი აწკრიალდა.

— თელავიდან რეკავენ, ამბობს ასათაშვილი.

მაგთულის ნეორე ბოლოსთან ღვინის ქარხნის დირექტორი შ. პაპუაშვილი აღმოჩნდა, ქარხანას ნუ მიცდენთ, ყურძენი გამოგზავნეთო.

თითქოს დადნა მძიმე განწყობილება. მოლუშულ სახეებზე ღიმილი გამოჩნდა.

— ვკრიფოთ! — მოკლედ იძლევა განკარგულებას მეურნეობის დირექტორი ა. ასათაშვილი; მეურნეობის გარშემო ახლად გაყვანილ მყარ გზაზე მიაქრის ჩვენი „გაზიკი".

საუბარი თანდათან საინტერესო ხდება. 1.225 ჰექტარი ვენახიდან სრულმოსავლიანი 863 ჰექტარია. სრულმოსავლიანს ვამბობ, ოორემ სამი პირი სიტყვის შემდეგ სისრულეზე საუბარი ზედმეტია. ენთუზიაზმი, შრომა, საიუბილეო წლის საზეიმო განწყობილება სტიქიასაც ებრძვის, და ნაფარეულელები გეგმით გათვალისწინებული 3.800 ტონის ნაცვლად 4.000 ტონა ყურძენს ჭიერდებიან დღესასწაულს.

— გადაუტეხეთ ხომ არ აფუსებთ ალეებს? — ვეკითხებით ალექსს.

დირექტორი იღიმეზა, ოდნავ შენელებული წვიმის ნაკადის ხმაურის ფონზე „საიდუმლოს" გვიმხელს და ამბობს:

— როცა მეურნეობის დირექტორი ან კოლმეურნეობის თავმჯდომარე 4.000-ს ამბობს, უნდა ჩათვალოთ, რომ 4.200 ტონა მაინც იქნება. ნათქვამია, როგორც ქუხს, ისე არა წვიმსო. სეტყვამ პირი აგვართვა, ახლა ეს დაკინებული წვიმებიც არ აყრის კეთილს, მაგრამ ჯანიანი ჩვენებური ვაზი.

ქეზას კი მაინც ნანახმა აჯობა. მეორე, აგროგანყოფილებაში უკვე ვენახში გაბული დაგვხვდნენ ნანი ხუციშვილი, სოფო მამალაშვილი, შურა მესტვირიშვილი, ოლა დისაამიძე და სამოცამდე სხვა მათი ლიბელი. მზედაკრული სახეებზე ღვარად ჩამოსდიოდათ წვიმის წვეთები. აქვე იყო ჩათი ბრიგადირი ლუზიკო მიქელაშვილი და რადაცაზე ცხარედ ეკამათებოდა აგრონომს მმართველს ლევან მარკოზაშვილს.

ჰექტარზე 64-ის მაგიერ 110 ცენტნერი გამოდისო. ცხადია, რქეწვითელი 120 ცენტნერსაც არ დასჯერდება.

— რას იტყვით, ტრაბახია თუ სინამდვილე? — ამბობს ასათაშვილი, — ახლა მთავარია გადაიღოს წვიმამ, რომ ან დაბზარნოს ყურძენი. დღეში 300-400 ტონაზე მუშაობს. კარგად გვეხმარება თელავის სამედიცინო სკოლიის სამოცზე მეტი კომკავშირელიც, მაგრამ 2.000 ტონა მოგვკრიფეთ.

ორი კვირა ავდრის პირობებში 2.000 ტონა მცირე როდია, მაგრამ დირექტორს რაკი ეცოტავა, ჩვენც ადარაფერი ვთქვით. ყურადღება მიიპყრო მეხუთე აგროუბნის № 1 ბრიგადის ზვარმა, მოდი და თავი შეიკავე! ბაზაფულისა და ზაფუულის ავდრებს, რთველისწინა დასეტყვა და ისევ დაეიბეპულ წვიმას ვერაფერი დაუკლია 54 ჰექტარი ზვრისათვის. რქეწვითელი ნაფარეულელ ბატარძლებს ეკიბრეზოდა ლოყაწითლობაში. აქ 110 ცენტნერიც არ იქნება ზედგარი!

მერე თავალი ნოგვეტაცა კუდიგორასა და ბახტრიონს შუა გადაჭინულნა შვიდფურსაც. „მატყუარა" ცისარტყელას ეჭვით შეხედა დირექტორმა, მაგრამ ეტყობოდა ამინდი გამოკეთებას აპირებდა.

ჯ. რჩეულიშვილი.

„კომუნისტის" საკ. კორ.

• • •

სურათზე: რთველი თელავის რაიონის ნაფარეულის სპბ-თოთა მეურნეობის ზვრებში.

ფოტო მ. თელიაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

დიდი ოქტომბრის მაღლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საზოგადოებაში დამკვიდრდა ერთა და ადამიანთა თანასწორობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა, შეიქმნა მათი შემდგომი აყვავებისა და დაახლოების მტკიცე საფუძვლები.

ერების მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა სავსებით შეესაბამება თვითეული ერის ინტერესებს, საბჭოთა ხალხების მთელ თანამეგობრობას. იგი სოციალური პროგრესის მძლავრი დამჩქარებელია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი".

სუდანელი ავად იბრაჰიმ მოჰამედ ალი მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი, საბა ფხულო პრაქტიკაზე ავადი ადგილზეთში იმყოფებოდა. ახვის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის უფროსმა ვახტანგ ხუბულავამ და უფროსმა გეოლოგმა ამირან ვიბლიანმა მას ასწავლეს სამადნეების დაზვერვა, მისცეს ბევრი სასარგებლო რჩევა, დაეხმარნენ შეეგროვებინა მიხერალების მდიდარი კოლექცია.

სურათზე: გმადლობთ, ძვირფასო მეგობრებო, დახმარებისათვის, — ეუბნება ავად იბრაჰიმ მოჰამედ ალი გეოლოგიურ-საძიებო პარტიის უფროსს ვახტანგ ხუბულავას (მარცხნივ) **და უფროს გეოლოგს ამირან ვიბლიანს.**

ფოტო ი. ჯოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მეგობრობის ქალაქი

ეს არ იყო ოქტომბრის რევოლუციამდე

მაქმინპარებს სამამულო ომი. 1944 წელია. საბჭოთა მეომრები უმაგალითო გმირობას იჩენენ ფრონტებზე და ჰიტლერელთა „უძლეველ" არმიებს მათივე ბუნებისაკენ მიერეკებიან.

ჩვენს გამარჯვებაში ექვი არავის ეპარებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ წინ იყო მძიმე ბრძოლები. ჰიტლერი ცოფებს ყრიდა. საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია კი მტრის საბოლოო განადგურების გეგმებს რომ ადგენდნენ, იქვე მშვიდობიანი მშენებლობის ღონისძიებებს იმუშავებდნენ.

— აშენდეს ახალი ინდუსტრიული გიგანტი რუსთავში! — გამოვიდა დადგენილება და, თითქოს ფრონტის ხაზმა ერთბაშად საქართველოს ტერიტორიაზე გადმოინაცვლაო, დაიძრნენ ეშელონები შორეული მხარეებიდან. მათი ბოლო გაჩერება თბილისიდან 20 კილომეტრის დაშორებით იყო.

მაშინაც რუსთავი ერქვა ამ ადგილს, მაგრამ არა იმ გაგებით, როგორც დღეს არის იგი.

პირველი ეშელონი ჩელიაბინსკიდან მოვიდა. ახლოვეთ მაშინ აქ მომუშავე სპეციალისტებს, რომ იგი ექვსი ვაგონისაგან შედგებოდა. ეშელონმა შორეული აღმოსავლეთიდან აქ, მზიურ საქართველოში, ჩამოიტანა მექანიკური ქარხნის მოწყობილობა. ქარხანა სწრაფად დაამონტაჟეს. მისი ძირითადი დანიშნულება ის იყო, რომ შეექმნათ ტექნიკური ბაზა მომავალი გიგანტის — ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის. რუსთავის ამ პირველმა საწარმომ ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მოვალეობა. შემდეგ იგი ისე გაიზარდა და დავეკაცდა, რომ პროფილიც კი შეიცვალა და საკავშირო მასშტაბის საწარმოდ — ამწეშენებელ ქარხნად იქცა.

პირველ ეშელონს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, და ფართო ფრონტით გაიშალა ძველ ნაკალაქარზე ახალი სოციალისტური ქალაქის მშენებლობა.

თანამედროვე რუსთავს მეგობრობის ქალაქს უწოდებენ. და ეს სრული ჭეშმარიტებაა: მასში 40-მდე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ეწევიან შემოქმედებითს შრომას. ესეც რომ არ იყოს, ხომ ცნობილია, რომ მის აშენებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქები. კიევიდან მოსულმა ეშელონმა ჩამოიტანა ხიდური ამწეები, ბუნკერები და თბოელექტროცენტრალის მოწყობილობა. ლენინგრადმა და ხარკოვმა გამოგზავნეს ქარხნის ელექტრომოწყობილობა. იმ დღეებში მოსკოვიდანაც მოვიდა ეშელონი. როცა ის გადმოცალეს, აღმოჩნდა, რომ შიგ ავტომობილები, მძლავრი ტუმბოები და საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები ელაგა.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის არქივში ინახება ერთი საინტერესო დოკუმენტი. დროებამს იგი გაუხუნებია და გაუყვითლებია, მაგრამ მაინც შეიძლება გვარების ამოკითხვა. ეს არის რუსთავის პირველი მშენებლების ხელფასის უწყისი. ამ **დოკუმენტში ჩამოთვლილი გვარები იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ქართველებთან ერთად აქ, ახალი ქალაქის ხარაჩოებზე მოსულან აზერბაიჯანელები, და რუსები, უკრაინელები და სომხები, ბელორუსები და მოლდაველები, უაზახები და ლიტველები.**

ახლა რუსთავში 100 ათასი მცხოვრებია და წარმოების მოცულობის მიხედვით იგი თავისუფლად შეიძლება დავაყენოთ რესპუბლიკის უძველესი ქალაქის — ქუთაისის გვერდით. დაამჩნევთ ქალაქის ფართო, თანამედროვე სტილით ნაშენ ქუჩებში, ათვალიერებთ ქართული არქიტექტურით აგებულ სახლებს, შედიხართ საწარმოთა ტერიტორიებზე, და თვალს არ სჯერა, რომ ყოველივე ეს სულ რაღაც 20-22 წლის განმავლობაში გაკეთდა.

საექსკურსიოდ ჩამოსული ჩვენი ქვეყნისა თუ უცხოეთის წარმომადგენლები ქალაქის დირექციისანშენობათა დათვალიერებით რომ დატკბებიან, კურსს მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროსაკენ იღებენ. საამქროს პირობითად ვამბობთ, თორემ იგი ერთი საკმაოდ მოზრდილი ქარხნის ტოლია. კიბეები ორი სართულის შემდეგ პირველ ღუმელთან მიგიყვანთ. ამ ღუმელს ისედაც პირველად აღიარებენ მთელ ქარხანაში. აქ მომუშავე ოთხივე ბრიგადა, რომლებსაც საყოველთაოდ აღიარებული მეფოლადეები ა. ფანცულაია, გ. ბერეკაშვილი, ი. ტაბატაძე და ზ. ყველაშვილი თავკაცობენ, კომუნისტური შრომის კოლექტივების საპატიო სახელებს ატარებს. წელს მათ ჯერ კიდევ 6 თვეში შეასრულეს დიდი ოქტომბრის იუბილეისათვის ნაკისრი ვალდებულებანი და მთელი ქარხნის კოლექტივის სიყვარული დაიმსახურეს.

ახლა მსოფლიოს მეტალურგიის ყურადღების ცენტრში დგას ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის პრობლემა რადიალური კრისტალიზატორებით. სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ რუსთაველმა სპეციალისტებმა ყველას დასწრეს წარმოებაში მისი დანერგვა. გამოვგარიშებულია, რომ რადიალური კრისტალიზატორების გამოყენებით ქარხანა წელიწადში 2 მილიონ მანეთი ეკონომიას მიიღებს. ეს უდავოდ დიდი საქმეა, და ამიტომ იყო, რომ ინიციატორები — მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ს. შარაძენიძე, მთავარი ინჟინერი ო. სულაძე და ინჟინერი გ. ღოღობერიძე ხახელმწიფო პრემიაზე წარადგინეს.

წელს ქართველ მეტალურგთა საქმიანობაში მეორე მნიშვნელოვან მოვლენასაც ჰქონდა ადგილი. ქარხნის კოლექტივმა არა მარტო დაადწია თავი ზარალიან მუშაობას, არამედ 8 თვეში ორი მილიონი მანეთი მოგებაც მისცა სახელმწიფოს.

მეტალურგების ნაყოფიერ საქმიანობაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისთვის გაჩაღებულ სავაშორო შეჯიბრებაში ქარხნის კოლექტივმა გაიმარჯვა როგორც პირველ, ისე მეორე კვარტალში და საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია დაისაკუთრა.

შარშან რუსთავში აღინიშნა პირველი ქიმიური საწარმოს — აზოტოვანი სასუქების ქარხნის 10 წლისთავი. 10 წელი არცთუ დიდი პერიოდია. მაგრამ ამა ნახევარ, რა სასწაულები მოხდა დიდი ქიმიის განვითარების გზაზე. ჯერ ერთი, ისე გაიზარდა მინერალური სასუქების წარმოება, რომ ახლა მოლიანად აკმაყოფილებს არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებსაც.

რუსთავი სხვა ისევით ქიმიურ პროდუქციასაც უშვებს. თუნდაც კაპროლაქტამი ავიღოთ. ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ ტანსაცმელი, რომელიც მას ვემოვნებით შეუკერავს და აცვია, სწორედ კაპროლაქტამისაგან არის დამზადებული. და განა მარტო ტანსაცმლისათვის იყენებენ კაპროლაქტამს? იგი ახლა სულ მეტი რაოდენობით ცვლის სახალხო მეურნეობაში ძვირფასფერადებულ ლითონებს.

საგულისხმოა ვიცოდეთ, რომ რუსთაველმა მშენებლებმა კაპროლაქტამის მიღებისათვის მიწის ქვეშ და მიწის ზევით იმდენი მილები განალაგეს, რომ მათი საერთო სიგრძე რუსთავიდან მოსკოვამდე ჩაიწევს.

კაპროლაქტამის მილების რთულ პრობლემებზე რომ მუშაობდნენ, პარალელურად ქიმიკოსები და მშენებლები ქიმიის მეორე დიდი ფლაგმანის — სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობასაც აწარმოებდნენ. მშენებელ-მემონტაჟეებმა ამ ფრონტზეც მაღალ წარმატებებს მიაღწიეს. ვიდამდე აიმუშავეს ქარხანა, რომლის ძირითად პროდუქციას ხელოვნური აბრეშუმის ძაფი და კორდი წარმოადგენს.

ამრიგად რუსთავს სამი მსხვილი ქიმიური ობიექტი აქვს.

ეს არ არის რუსთავის სამრეწველო საწარმოთა სრული სია. მეტალურგიულ და ქიმიურ ქარხნებს მბარს უმშვენებენ ისეთი საწარმოები, როგორიც არის ცემენტის, მექანიკური, სახლთმშენებელი, საგზაო მანქანების შემკეთებელი, რკინაბეტონის კონსტრუქციების, საშენ მასალათა და მრავალი სხვა ქარხანა.

ყველა ეს საწარმო და საერთოდ ქალაქი რუსთავი ააგო რესპუბლიკის ერთ-ერთმა უმსხვილესმა საამშენებლო ორგანიზაციამ — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტმა, მასში შემავალმა საამშენებლო სამმართველოთა მრავალრიცხოვანმა კოლექტივებმა. პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად შეაფასეს მათი შრომა და მშენებლები უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დააჯილდოეს.

ოქტომბერმა შეძლებული და კულტურული ცხოვრება დაუმკვიდრა საბჭოთა ადამიანებს. ეს იგრძნობა რუსთავის მაგალითზეც. ქალაქს აქვს 18 საშუალო სკოლა, ორი ღამის სანატორიუმი, ამდენივე კულტურის სასახლე, კულტურის სახლი, 20 ბიბლიოთეკა, 10 კინოთეატრი, 5 კლუბი, სამი პროფტექნიკური სასწავლებელი, მეტალურგიული და ქიმიური ტექნიკუმი, მუსიკალური სკოლა და მუსიკალური სასწავლებელი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სალაბორატორიული გაყოფილება, მრავალი სამკურნალო დაწესებულება.

...სატვირთო სადგურ „რუსთავ მეორიდან" ყოველდღე გადის ეშელონები. ერთ მათგანს აწერია „რუსთავი-ვიეტნამი", მეორეს — „რუსთავი-ჩეხოსლოვაკია", მესამეს — „რუსთავი-უნგრეთი"... „რუსთავი-პაკისტანი", „რუსთავი-ირანი", „რუსთავი-ეგვიპტე", „რუსთავი-მოსკოვი". ეს იმის დამადასტურებელია, რომ რუსთავის მარკის პროდუქციაზე დიდ მოთხოვნილებას აყენებენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა, არამედ სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნებიც.

ასე გაიზარდა და დავაკაცდა ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქი რუსთავი, მაგრამ მისი მომავალი ჯერ კიდევ წინ არის. უახლოეს წლებში აქ გათვალისწინებულია 22 მსხვილი და საშუალო საწარმოს აშენება, რეკონსტრუქცია და გაფართოება. გაფართოვდება თვით მეტალურგიული ქარხანა იმ ანგარიშით, რომ უახლოესი წლებისათვის ორნახევარჯერ გაიზარდოს თუჯისა და ნაგლინის წარმოება, ორჯერ — ფოლადისა.

აშენდება და საეკსპერიმენტალურად გადაეცემა ცემენტის ქარხნის მეოთხე ტექნოლოგიური ხაზი, რის შემდეგაც საწარმო ერთ მილიონ ტონამდე აიყვანს პროდუქციის წარმოებას.

ანალიზს რომ უკეთებ რუსთავის განვლილ გზას, აგრეთვე წარმოიდგენ მის მომავალს უახლოესი წლებისათვის, გიხარია, რომ ყველაფერი ეს დიდი ოქტომბრის მონაპოვარია.

...ცად აზიდული ვეებერთელა საქარხნე მილები, კორპუსები, ამწე ხიდურები, ხარაჩოებში მოქცეული ახალშენებლობათა კონტურები, აგრეგატებისა და დაზგების გამაყრუებელ ხმაურთან ერთად ჩვეულანს ამცნობენ ინდუსტრიული რუსთავის, ხალხთა მეგობრობის მძლავრ მაჯისცემას.

ზ. მერკვილაძე,

„კომუნისტის" საკ. კორ.

გალის რაიონი ემზადება

ჩვენი სიუხვის ფუაროსთვალი

ა. ქავთარაძე,

საქართველოს კპ გალის რაიკომის პირველი მდივანი.

მხოლოდ ერთი თვე გვაშორებს მოვლენას, რომელზეც ამდენს ვფიქრობთ და რომლისთვისაც ასე ბევრს ვემზადებით. ახლა დიდი, ნათელი დღესასწაულის წინადღეებია ყოველ ოჯახში, თვითეულ შრომითს კოლექტივში, მთელ ჩვენს ქვეყანაში. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ენერგიის დაუზოგავად შრომობენ, რომ ღირსეულად შეხვდეს საბჭოების ქვეყნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, თავიანთი წლილი შეიტანონ საყვარელი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავების საქმეში.

როცა დიადი დღესასწაულისათვის მზადების დღეებში თვალს ვაყლებთ განვლილ გზას, უდიდესი მაღლიერების გრძნობით ვიმაკვნესებით შობლიური კომუნისტური პარტისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

გალის რაიონი (ყოფილი სამურზაყანოს მაზრა) საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს ერთერთ მიყრუებულ, ეკონომიურად ჩამორჩენილ კუთხეს წარმოდგენდა. საუკეთესო მიწების ინტენსიურად გამოყენებას ხელს უშლიდა მათი დაჭაობება და მდინარეთა რეჟიმის მოუწესრიგებლობა. ამიტომ მიწის ეს ოქროს ფონდი საუკუნეების მანძილზე გამოუყენებელი რჩებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისათვის. გლეხკაცი ადგილობრივ პირობებში ძირითადი საკვები კულტურის — სიმინდის უმნიშვნელო მოსავალს იღებდა. მძვინვარებდა მალარია. ფარღალალა ჭოხმახებიდან ისმოდა სიცხით გათანგული გლეხკაცის კვნესა.

ჩვენი რაიონის ნამდვილი ისტორია არსებითად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან იწყება. მართალია, დროის ეს მონაკვეთი ისტორიისათვის მოკლეა, მაგრამ სამაგვერად იგი უაღრესად მდიდარი და მნიშვნელოვანია სოციალისტური გარდაქმნებით, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების ტემპებით!

ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით გადაწყდა დაწყებულიყო კოლხიდის დაბლობის დაკაობებული ფართობების დაშრობა, რომლის მიზანი იყო ამ მხარის წალკოტად გადაქცევა. ისტორიული ხუთწლედების მანძილზე გალის რაიონში დაშრობილ იქნა 1.758 ჰექტარი ფართობი, რომელზეც შეიქმნა აჩიგვარის, სიდის, გალის, მხიურის, ხუმუქურის, გიმეფურის ჩაის, ციტრუსების და ეთერზეთოვან კულტურათა საბჭოთა მეურნეობები. ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები აბიბინდა ოქუმის, ბარდების, ნაბაკევის, თაგილოსის, მუხურის, ჯუბერხინჯისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობათა ფართობებზე.

ჩაი რაიონის ეკონომიკის საფუძველია. საკმარისია აღინიშნოს, რომ შარშან რაიონის კოლმეურნეობებს მარტო ჩაის კულტურამ 12 მილიონ მანეთამდე ფულადი შემოსავალი მისცა. რაიონზე მოდის საქართველოში წარმოებული ჩაის 9-10 პროცენტი და აფხაზეთის ხეკრონთი ნილის ნახევარზე მეტი.

შარშან გალელმა მეჩაიეებმა ახალი სერიოზული წარმატება მოიპოვეს მეჩაიეობის განვითარებაში. მათ ვადამდე და გადამეტებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება — მრეწველობის ჩაბარეს 18.606 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი ეგეგმით გათვალისწინებული 17.075 ტონის ნაცვლად. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ შარშანდელი მაჩვენებელი 5.000 ტონით აღემატებოდა წინა წლის დონეს.

ჩაის ფრონტზე ახალი დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ მიმდინარე, საიუბილეო წელს. მოიკრიფა და გადასამუშავებლად ჩაბარდა 19.200 ტონა ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 17.925 ტონისა. წარმატებას ხელი შეუწყო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლამ, ფოთლის ყოველგვარ ამინდში განუწყვეტელმა კრეფამ.

სურათზე: პიონერები ობელისკთან.

ფოტო ს. კოროტკოვისა.

სათვის მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. ჩოქოლი ქეაჩახიასა და სხვა ნოვატორთა მაგალითზე აღიზარდნენ თაობები მესიმინდეებისა, რომლებიც დაუღალავად იბრძვიან უხვი მოსავლისათვის.

